სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 სექტემბერი, 2024 წელი

ბრძანება №01-02/162

,,2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის (ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 20 აგვისტოს N01-02/142 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/50 დადგენილების (ცვლილება N06-01/65, 12.09.2024წ.), საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის (ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 20 აგვისტოს N01-02/142 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,ა) I ეტაპზე - 2024 წლის 15 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 40% (შენიშვნა: პირადი განცხადების საფუძველზე სტატუსშეჩერებული სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს და სწავლის საფასური გადახდილი, 2024 წლის 30 სექტემბრიდან (სემესტრის დაწყება) 15 დღის ვადაში - 2024 წლის 14 ოქტომბრის ჩათვლით);";

2. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს ბსუ-ს პორტალის მეშვეობით.

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,აკადემიური კალენდარი" და ,,რექტორის აქტები"), ასევე ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს სოციალურ ქსელში.
4. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს (მათ შორის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს), სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და ფაკულტეტებს.
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
6. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი

მერაბ ხალვაში